საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევა
(წლიური)

1. საკონტაქტო ინფორმაცია	
1.1. საკონტაქტო ორგანიზაცია	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)
1.2. საკონტაქტო ორგანიზაციის ერთეული	ბიზნეს სტატისტიკის დეპარტამენტი მოკლევადიანი სტატისტიკის სამმართველო
1.3. საკონტაქტო პირი	დავითი ჟორჟოლიანი თინათინ ქსოვრელი
1.4. საკონტაქტო პირის ფუნქცია	ბიზნეს სტატისტიკის დეპარტამენტის უფროსი მოკლევადიანი სტატისტიკის სამმართველოს უფროსი
1.5. საკონტაქტო პირის საფოსტო მისამართი	ქ. თბილისი, 0180, ცოტნე დადიანის 30
1.6. საკონტაქტო პირის ელექტრონული ფოსტის მისამართი	dzhorzholiani@geostat.ge tksovreli@geostat.ge
1.7. საკონტაქტო პირის ტელეფონი	+995 32 236 72 10 (601) +995 32 236 72 10 (217)
1.8. საკონტაქტო პირის ფაქსი	-

2. მეტამონაცემების განახლება	
2.1. მეტამონაცემების ბოლო სერტიფიცირება	2025 წ. 4 ივნისი
2.2. მეტამონაცემების ბოლო გამოქვეყნება	2025 წ. 4 ივნისი
2.3. მეტამონაცემების ბოლო განახლება	2025 წ. 4 ივნისი

3. სტატისტიკური მონაცემების წარმოდგენა

3.1. მონაცემების აღწერა

საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევის (წლიური) ფარგლებში ქვეყნდება შემდეგი მაჩვენებლები:

1. ბრუნვა;
2. პროდუქციის გამოშვება;
3. დასაქმებულთა რაოდენობა (სქესის მიხედვით);
4. დაქირავებულთა რაოდენობა (სქესის მიხედვით);
5. დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება (სქესის მიხედვით);
6. დამატებული ღირებულება;
7. შუალედური მოხმარება;
8. შრომითი დანახარჯები;
9. საქონლისა და მომსახურების ყიდვები;
10. გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვები;
11. ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში (ნაკადი);
12. ფიქსირებული აქტივები (მარაგი);
13. მოგება-ზარალი;
14. შრომის მწარმოებლურობა.

აღნიშნული მონაცემები ქვეყნდება:

- საწარმოთა ზომის მიხედვით;
- ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით;
- საკუთრების ფორმების მიხედვით;
- ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით;
- რეგიონების მიხედვით;
- მუნიციპალიტეტების მიხედვით.

3.2. კლასიფიკაციის სისტემა

ეკონომიკური საქმიანობის სახეების საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი (NACE Rev. 2).

3.3. სექტორის მოცვა

გამოკვლევა მოიცავს ბიზნეს სექტორის (არაფინანსური კორპორაციები) საწარმოებს, გარდა ფინანსური კოორპორაციებისა (ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და ა.შ.) და ფარდულებში და ბაზრობებზე საცალო ვაჭრობით დაკავებული სუბიექტებისა.
3.4. სტატისტიკური ცნებები და განსაზღვრებები
საწარმო – ეკონომიკური ერთეული (ინდივიდუალური/ფიზიკური ან იურიდიული პირი), რომელიც აწარმოებს საქონელს ან ეწევა მომსახურებას, დამოუკიდებლად იღებს ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს საკუთარი რესურსების განაწილების შესახებ (ფლობს გადაწყვეტილებათა მიღებაში თავისუფლების განსაზღვრულ ხარისხს) და ახორციელებს ეკონომიკური საქმიანობის ერთ ან რამდენიმე სახეს ერთ ან მეტ ადგილზე. **აქტიური საწარმო** – ყველა არაფინანსური კორპორაცია, რომელიც აქტიური (წლის განმავლობაში დარიცხულია შემოსავალი საქონლისა და მომსახურების გაყიდვებიდან ან/და დაქირავებულებზე დარიცხულია შრომის ანაზღაურება) იყო საანგარიშო პერიოდში. **მსხვილი საწარმო** – საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა აღემატება 249 კაცს ან წლიური ბრუნვის მოცულობა არის სულ მცირე 60 მლნ. ლარი. **საშუალო ზომის საწარმო** – საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა მერყეობს 50-დან 249 კაცის ჩათვლით, ან წლიური ბრუნვის მოცულობა მერყეობს 12 მლნ. ლარიდან 60 მლნ. ლარამდე. **მცირე საწარმო** – საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 49 დასაქმებულს და წლიური ბრუნვის მოცულობა 12 მლნ. ლარზე ნაკლებია. **ბრუნვა** – საწარმოს მიერ პროდუქტის ან მომსახურების გაყიდვებიდან მიღებული შემოსავალი (დღგ-ის და აქციზის გადასახადის გარეშე). **პროდუქციის გამოშვება** – წარმოებული პროდუქციის მოცულობა და რეალიზებული პროდუქციის მოცულობა, გადაყიდვისათვის შეძენილი საქონლისა და მომსახურების, აგრეთვე მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგების ცვლილების ჩათვლით. **დასაქმებულთა რაოდენობა** – საწარმოში დასაქმებულ პირთა (დაქირავებულები, დასაქმებული დამფუძნებლები და საოჯახო საწარმოში დასაქმებული ოჯახის წევრები) საშუალო რაოდენობა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. **დაქირავებულთა რაოდენობა** – საანგარიშო პერიოდში საწარმოში დასაქმებული იმ პირების საშუალო რაოდენობა, რომელთა შრომითი ურთიერთობა რეგულირდება საწარმოსთან დადებული ხელშეკრულებით, ანუ კონტრაქტით, და რომელთაც დაერიცხათ და/ან მიეცათ ხელფასი. **დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება** – საანგარიშო წელში დარიცხული შრომის ანაზღაურების/ხელფასის ფონდის (ძირითადი ხელფასი, პრემია, დანამატი და სხვა წამახალისებელი სახის გასაცემლები, საკომპენსაციო და სხვა გასაცემლები, რომელიც დაერიცხა დასაქმებულ პერსონალს ან გაიცა ნატურის სახით და ღირებულება ჩართულია შრომის ანაზღაურებაში) ერთი მეთორმეტედი გაყოფილი დაქირავებულთა საშუალო წლიურ რიცხოვნობაზე. **დამატებული ღირებულება** – ეკონომიკური ერთეულის წარმოებითი საქმიანობის სხვადასხვა ფაქტორული ხარჯების ღირებულების მიხედვით საბაზისო ფასებში შეფასებული სიდიდე: გამოშვებული პროდუქცია, რომელსაც ემატება სუბსიდიები პროდუქტებზე, აკლდება საქონლისა და მომსახურების ყიდვები (გარდა უცვლელად გადაყიდვისათვის შეძენილი პროდუქტისა) და აკლდება ან ემატება ნედლეულის, მასალებისა და სხვა შრომის საგნების მარაგების ცვლილება. **შუალედური მოხმარება** – წარმოების პროცესში დანახარჯების სახით მოხმარებული (გამოყენებული ან გარდაქმნილი) საქონლისა და მომსახურების მოცულობა, ფიქსირებული აქტივების (ძირითადი კაპიტალი) მოხმარების გამორიცხვით. **შრომითი დანახარჯები** – საანგარიშო პერიოდში დასაქმებულ პერსონალზე გაწეული ყველანაირი ხარჯი (ფულადი (საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით) ან ნატურის სახით გაცემული შრომის ანაზღაურება, საშვებულებო დახმარება, საკომპენსაციო გასაცემლები, აგრეთვე სოციალური დახმარება საწარმოს სახსრებიდან, ხარჯები საგანმანათლებლო, ჯანდაცვის, კულტურული და სხვა ასპექტით). **საქონლისა და მომსახურების ყიდვები** – საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შესყიდული ყველა საქონელი და მომსახურება, მიუხედავად იმისა, საქონელი/მომსახურება განკუთვნილია ფორმისა/თვისებების შეუცვლელად გადაყიდვისათვის თუ საწარმოო პროცესში გამოსაყენებლად, კაპიტალური საქონლის (ძირითადი კაპიტალის მოხმარების) გამოკლებით. **გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვები** – საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შესყიდული (შესყიდვის ფასებში დღგ-სა და აქციზის გადასახადის გარეშე) ის საქონელი და მომსახურება, რომელიც განკუთვნილია ფორმისა და თვისებების შეუცვლელად გადაყიდვისათვის. **ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში** – მატერიალური ძირითადი საშუალებების შეძენას და კაპიტალის გაუმჯობესებას, საიდანაც გამოიქვითება ძირითადი საშუალებების გაყიდვები და გადაცემა.

ფიქსირებული აქტივები – წარმოების პროცესში მრავალჯერ ან ხანგრძლივად (ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში) გამოიყენებადი წარმოებითი აქტივები (მოწყობილობები, მანქანები, ნაგებობები და ა.შ.), ზრდადი აქტივები (ცხოველები და მცენარეები), რომლებიც მრავალჯერ და ხანგრძლივად ქმნიან პროდუქტებს (ხილი, რძე, და ა.შ.), ან წარმოებაში გამოყენებული ხანგრძლივი მოხმარების არამატერიალური აქტივები (პროგრამული უზრუნველყოფა, მხატვრულ ნაწარმოებთა ორიგინალები და ა.შ.).

3.5. სტატისტიკური ერთეული

საწარმო.

3.6. სტატისტიკური პოპულაცია

ყველა აქტიური საწარმო, რომელთა ეკონომიკური საქმიანობა დაკავშირებული არ არის ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის (NACE Rev. 2) არც 47.8 ჯგუფთან (საცალო ვაჭრობა ფარდულებში და ბაზრობებზე) და არც შემდეგ სექციებთან:

K – საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები;

O – სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა, სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება;

T – შინამეურნეობების, როგორც დამქირავებლის, საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისთვის;

U – ექსტერიტორიული ორგანიზაციების საქმიანობა.

3.7. საანგარიშო არეალი

საქართველოს მთელი ტერიტორია გარდა ოკუპირებული რეგიონებისა.

3.8. დროის მოცვა

- ბრუნვა, პროდუქციის გამოშვება, დასაქმებულთა რაოდენობა, დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება – 1999 წლიდან;
- დაქირავებულთა რაოდენობა, დამატებული ღირებულება, შუალედური მოხმარება, შრომითი დანახარჯები, ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში, ფიქსირებული აქტივები, მოგება-ზარალი, შრომის მწარმოებლურობა – 2006 წლიდან;
- საქონლისა და მომსახურების ყიდვები, გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვები – 2007 წლიდან.

3.9. საბაზო პერიოდი

-

-

4. ზომის ერთეული

ლარი, მლნ. ლარი, კაცი (ადამიანების რაოდენობა).

-

5. საანგარიშო პერიოდი

წელი.

-

6. ინსტიტუციური მანდატი

6.1. სამართლებრივი აქტები და სხვა შეთანხმებები

საქართველოს კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“;
https://www.geostat.ge/media/54263/საქართველოს-კანონი-ოფიციალური-სტატისტიკის-შესახებ.pdf
სტატისტიკურ სამუშაოთა ყოველწლიური პროგრამა;
https://www.geostat.ge/ka/modules/categories/307/statistikur-samushaota-programa
საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დებულება.
https://www.geostat.ge/media/20600/10%2Csaqstatis-konsolidirebuli-debuleba.pdf

6.2. მონაცემთა გაზიარება

-

-

7. კონფიდენციალურობა

7.1. კონფიდენციალურობა – პოლიტიკა

1. საქართველოს კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“:
   - კანონის მე-5 მუხლის თანახმად, სტატისტიკური კონფიდენციალურობა და მონაცემების ექსკლუზიურად სტატისტიკური მიზნებისთვის გამოყენება – ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელი ორგანოს მიერ შეგროვებული ან მიღებული ფიზიკური ანიურიდიული პირის შესახებ

პერსონალური მონაცემები ან/და ინდივიდუალური მონაცემები კონფიდენციალური უნდა იყოს და მხოლოდ სტატისტიკური მიზნებისთვის უნდა იქნეს გამოყენებული.

- კანონის 34-ე მუხლის (მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვა) თანახმად, 1. ოფიციალური სტატისტიკის წარმოების მიზნით შეგროვებული, დამუშავებული და შენახული მონაცემები კონფიდენციალურია, თუ ეს მონაცემები სტატისტიკური ერთეულის პირდაპირი იდენტიფიცირების ან არაპირდაპირი იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა. ამასთანავე, აგრეგირებული მონაცემები კონფიდენციალურად მიიჩნევა, თუ: ა) ეს მონაცემები არაუმეტეს 3 სტატისტიკურ ერთეულს ეხება და აღნიშნული მონაცემებით შესაძლებელია ერთ-ერთის არაპირდაპირი იდენტიფიცირება ან/და მჟღავნდება ამ ერთეულის/ერთეულების შესახებ კონფიდენციალური მონაცემები. 3-ზე მეტი სტატისტიკური ერთეულის შესახებ აგრეგირებული მონაცემები შეიძლება მიჩნეულ იქნეს კონფიდენციალურ მონაცემებად საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის გადაწყვეტილებით, თუ საჭიროა ამ მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვის უზრუნველყოფა; ბ) ეს მონაცემები „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო საიდუმლოებად არის მიჩნეული. 2. კონფიდენციალური მონაცემები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ კანონის შესაბამისად ექსკლუზიურად სტატისტიკის წარმოებისთვის. 3. ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ სტატისტიკური მონაცემები არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს კონფიდენციალურ ინფორმაციად, გარდა „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ინფორმაციისა. 4. საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროდან მიღებული ინდივიდუალური მონაცემები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით საჯარო ინფორმაციად არის მიჩნეული, არ ითვლება კონფიდენციალურ ინფორმაციად. 5. კონფიდენციალური ინდივიდუალური მონაცემების გამოქვეყნება შესაძლებელია, თუ არსებობს სტატისტიკური ერთეულის წერილობითი თანხმობა ამ მონაცემების გამოქვეყნებაზე. 6. კონფიდენციალური მონაცემების გაცემა, გავრცელება ანარასტატისტიკური მიზნებისთვის გამოყენება დაუშვებელია.
- კანონის 38-ე მუხლის თანახმად, ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელი ორგანოების თანამშრომლებს ეკრძალებათ სტატისტიკური მიზნებისთვის შეგროვებული დ ადამუშავებული კონფიდენციალური სტატისტიკური მონაცემების პირადი, აკადემიური, სამეცნიერო ან სხვა საქმიანობისთვის გამოყენება და გავრცელება.

https://www.geostat.ge/media/54263/საქართველოს-კანონი-ოფიციალური-სტატისტიკის-შესახებ.pdf

2. „საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვის პოლიტიკა“
   https://www.geostat.ge/media/60538/konfidencialurobis-politika_2024.pdf
3. „კონფიდენციალური მონაცემების სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის წესი“
   https://www.geostat.ge/media/61497/დადგენილება--3.pdf
4. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“.
   https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437

7.2. კონფიდენციალურობა – მონაცემებთან მოპყრობა

- კონფიდენციალურობის დაცვის სახელმძღვანელოები.
- საქსტატში დასაქმებულის მიერ წერილობით აღიარებული ვალდებულებები სამსახურებრივი საქმიანობის შედეგად მიღებული/შეგროვებული მონაცემების კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის შესახებ.

-

8. გამოქვეყნების პოლიტიკა

8.1. გამოქვეყნების კალენდარი

მონაცემთა გავრცელების თარიღები განსაზღვრულია სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის საფუძველზე შემუშავებული კალენდრით, რომელიც განთავსებულია საქსტატის ვებსაიტზე და საჯაროდ ხელმისაწვდომია.

8.2. გამოქვეყნების კალენდარზე ხელმისაწვდომობა

https://www.geostat.ge/ka/calendar

8.3. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომობა

მონაცემები ხელმისაწვდომია ყველა კატეგორიის მომხმარებლისთვის ერთდროულად.

-

9. გავრცელების სიხშირე

წლიური.

-

10. ხელმისაწვდომობა და მკაფიოობა
10.1. პრეს–რელიზები
პრეს-რელიზი ხელმისაწვდომია საქსტატის ვებსაიტზე: https://www.geostat.ge/ka/news?year=&month=&category=6
10.2. პუბლიკაციები
წლიური პუბლიკაცია „ბიზნეს სექტორი საქართველოში“: https://www.geostat.ge/ka/single-categories/105/biznes-seqtori-sakartveloshi
10.3. ონლაინ მონაცემთა ბაზა
მონაცემები ხელმისაწვდომია საქსტატის ვებსაიტზე: https://www.geostat.ge/index.php/ka/modules/categories/326/sacarmota-statistikuri-gamokvleva
10.4. მიკრომონაცემების ხელმისაწვდომობა
მოთხოვნის შემთხვევაში, მიკრომონაცემები ხელმისაწვდომია „კონფიდენციალური მონაცემების სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის წესის“ თანახმად: https://www.geostat.ge/media/61497/დადგენილება--3.pdf
10.5. სხვა
-
10.6. დოკუმენტაცია მეთოდოლოგიაზე
მეთოდოლოგიის დოკუმენტაცია განთავსებულია საქსტატის ვებსაიტზე: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/121/methodologia-biznes-statistika
10.7. დოკუმენტაცია ხარისხის შესახებ
-

-

11. ხარისხის მართვა
11.1. ხარისხის უზრუნველყოფა
სტატისტიკური პროცესების და პროდუქტების ხარისხის უზრუნველსაყოფად საქსტატი ხელმძღვანელობს ოფიციალური სტატისტიკის შესახებ საქართველოს კანონის მე-10 თავით „ოფიციალური სტატისტიკის ხარისხი“, აგრეთვე ევროპის სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსით, გაეროს ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტური პრინციპებით და ევროპის სტატისტიკის სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოთი (ESS QAF).
11.2. ხარისხის შეფასება
საქსტატის მეთოდოლოგიის და ხარისხის მართვის სამმართველო დარგობრივ დეპარტამენტებთან ერთად პასუხისმგებელია წარმოებული სტატისტიკური პროდუქტების და პროცესების ხარისხზე. სამმართველო ატარებს სტატისტიკური პროცესების ხარისხის აუდიტს, თვითშეფასების გამოკვლევას და აფასებს სტატისტიკური პროდუქტებისა და პროცესების ხარისხთან დაკავშირებულ რისკებს. საქსტატში შემუშავებულია პოლიტიკის დოკუმენტები, სახელმძღვანელოები და სამუშაო პროცესების აღწერილობები. ეს დოკუმენტები უზრუნველყოფენ სტატისტიკური პროცესების და პროდუქტების სტანდარტიზებას და ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას. საქსტატის ხარისხის პოლიტიკა ხელმისაწვდომია საქსტატის ვებსაიტზე: https://www.geostat.ge/media/44379/QP_Geostat_GE.pdf

-

12. შესაბამისობა
12.1. მომხმარებელთა მოთხოვნები
მონაცემთა ძირითადი მომხმარებლები არიან: ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები, მკვლევრები და სტუდენტები, საერთაშორისო ორგანიზაციები, სახელმწიფო დაწესებულებები, მედია საშუალებები და სხვ. მათ აღნიშნული მონაცემები ესაჭიროებათ სხვადასხვა სახის სტატისტიკური ანალიზის ჩასატარებლად, მარკეტინგული სტრატეგიის დასაგეგმად ან ეკონომიკური მდგომარეობის შესასწავლად და შესაფასებლად.
12.2. მომხმარებელთა კმაყოფილება
2023 წელს ჩატარდა მომხმარებელთა კმაყოფილების გამოკვლევა, რომლის მიზანი იყო მომხმარებლების მიერ სტატისტიკური მონაცემების ხარისხის შეფასების ანალიზი და მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესების გზების შესწავლა. გამოკვლევის ანგარიში განთავსებულია საქსტატის ვებსაიტზე: https://www.geostat.ge/ka/page/customer-service
12.3. სისრულე
მონაცემები მოიცავს ძირითად სტატისტიკურ მაჩვენებლებს.

13. სიზუსტე და სანდოობა
13.1. ზოგადი სიზუსტე
მონაცემები არის საკმარისად ზუსტი და დამუშავებული მონაცემების შედარება ხდება გასული პერიოდის შესაბამის მონაცემებთან. რიგ შემთხვევებში, დამუშავების პროცესში ხდება მონაცემთა გადამოწმება როგორც ადმინისტრაციულ წყაროებში, ისე საწარმოების წარმომადგენლებთან.
13.2. შერჩევითი ცდომილება
• ქვეყნის დონეზე არ აღემატება 0.5%-ს; • რეგიონის დონეზე არ აღემატება 1-2%-ს; • ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით არ აღემატება 2-3%-ს.
13.3. არაშერჩევითი ცდომილება
საწარმოთა წლიურ სტატისტიკურ გამოკვლევაში შეიძლება დაფიქსირდეს არაშერჩევითი ცდომილების შემდეგი მაგალითები: მონაცემთა შეყვანის დროს დაშვებული შეცდომები, მონაცემთა დამუშავების დროს არსებული ხარვეზები.

-

14. დროულობა და პუნქტუალურობა
14.1. დროულობა
მონაცემები ქვეყნდება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 ოქტომბერს, თუ მონაცემების გავრცელების დღე ემთხვევა დასვენების ან უქმე დღეს, მაშინ ინფორმაცია ვრცელდება მომდევნო უახლოეს სამუშაო დღეს.
14.2. პუნქტუალურობა
მონაცემები ქვეყნდება სტატისტიკური სამუშაოების პროგრამაში მითითებული თარიღის შესაბამისად. გამოქვეყნების თარიღების დარღვევის ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

-

15. თანამიმდევრულობა და შესადარისობა
15.1. შესადარისობა – გეოგრაფიული
საქართველოს ყველა რეგიონისთვის გამოყენებულია ერთი და იგივე მეთოდოლოგია და მიდგომები.
15.2. შესადარისობა – დროში
დროითი მწკრივის მონაცემები ერთმანეთთან შესადარისია.
15.3. თანამიმდევრულობა – სტატისტიკურ მიმართულებებს შორის
მონაცემები თანამიმდევრულია.
15.4. თანამიმდევრულობა – შიდა
მონაცემები თანამიმდევრულია.

-

16. დანახარჯები და დატვირთვა
მონაცემების მიღება და დამუშავება წარმოებს საქსტატის ბიუჯეტის ფარგლებში. ცალკე დაფინანსება არ არის გათვალისწინებული.

-

17. მონაცემთა გადასინჯვა
17.1. მონაცემთა გადასინჯვა – პოლიტიკა
სტატისტიკურ მონაცემთა გადასინჯვის პოლიტიკა ხელმისაწვდომია საქსტატის ვებსაიტზე: https://www.geostat.ge/media/60949/Revision-policy-and-error-correction_2024.pdf
17.2. მონაცემთა გადასინჯვა – პრაქტიკა
მონაცემთა გეგმიური გადასინჯვა არ ხდება. არაგეგმიური გადასინჯვა (მონაცემთა დაზუსტების მიზნით) პრაქტიკაში არ განხორციელებულა.

-

18. სტატისტიკური დამუშავება
18.1. პირველადი მონაცემები
რესპონდენტის მიერ შევსებული ონლაინ კითხვარი.
18.2. მონაცემთა შეგროვების სიხშირე
წლიური.
18.3. მონაცემთა შეგროვება
მონაცემები გროვდება ელექტრონული ფორმით.
18.4. მონაცემთა კონტროლი

მონაცემთა პირველადი შემოწმება ხდება პროგრამულად, მონაცემთა ბაზაში არსებული არითმეტიკული და ლოგოკური კონტროლის საფუძველზე. მეორადი კონტროლი ხორციელდება საველე პერსონალის (ინტერვიუერების) და ბიზნეს სტატისტიკის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ.
18.5. მონაცემთა გაანგარიშება
გამოკვლევა მოიცავს ყველა არაფინანსურ კორპორაციას, გარდა ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის (NACE Rev. 2) 47.8 განყოფილებისა და K, O, T და U სექციებისა. საწარმოთა შერჩევა ხორციელდება სტრატიფიცირებული შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე, მონაცემთა შეწონვა კი ხდება ყოველკვარტალურად. გამოკვლევის შედეგად მოპოვებული მონაცემები მრავლდება საწარმოს დონეზე მინიჭებულ წონებზე და შემდეგ ხდება მონაცემთა აგრეგირება. მაჩვენებლების გაანგარიშება ხორციელდება SQL Server და MS Access პროგრამების მეშვეობით.
18.6. მოსწორება
-

-

19. კომენტარი
-